სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 09.12.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბერს №1/115 განკარგულებით დაწყებულ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - დემეტრე ჯინჯოლიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 17 ოქტომბერს №1/115 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 28 პირი, მათ შორის - დემეტრე ჯინჯოლია.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი „სრულად აკმაყოფილებს"

მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

<u>I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:</u>

სახელი, გვარი: **დემეტრე ჯინჯოლია**

განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (თსუ 2014 წელი, ბაკალავრი) (თსუ 2017 წელი, მაგისტრი)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 9 წელი

<u>II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით - პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა (სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში) და მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების,

ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, პრინციპულობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, კორექტულობას, პუნქტუალურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

- დემეტრე ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 4 ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად
- კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმა გადახდილია დროულად.

დემეტრე ჯინჯოლიას მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

2. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით** - პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით პირის** - შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება.

რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, პრინციპულობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, კორექტულობას და პუნქტუალურობას.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

4. <u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას**</u> - გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები და რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
4. *პროფესიული თვისებები;*
5. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
6. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალში დემეტრე ჯინჯოლია არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

იმავე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სისხლის და სამოქალაქო სამართალში დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას.

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს აქვს მომზადების მაღალი დონე, აქვს სამართლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების კარგი ცოდნა, კანდიდატი სწორად აყალიბებს სისხლის სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ ხედვებს, მისი მსჯელობა არის თანმიმდევრული.

კანდიდატი კარგად იცნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რაც გამოვლინდა შეთავაზებულ საკითხებზე მისი მხრიდან გაცემული პასუხებიდან.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებისა და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების ერთობლივი ანალიზი მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო 24 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

კანდიდატს გააჩნია იურიდიულ სფეროში მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 24 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გასაუბრების პროცესში კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატს გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

კანდიდატი სარგებლობს კარგი პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატი არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში:

- აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი
- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრენერი, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი
- ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი
- წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრეინინგი

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებში:

- სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
- ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);

- პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Prosecutors) რიგით 27-ე საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (ქ. თბილისი, საქართველო);
- კორუფციით მიღებული შემოსავლის ამოღების თაობაზე ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მონაწილე და მომხსენებელი, ინიციატორი - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), (ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა).

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 9 ქულით.

6. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.
- არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
- არ აქვს გამოქვეყნებული ნაშრომები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო -4 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 93 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 09.12.2024 წ.